თებს ყიდულობდა არა მარტო საფრანგეთში საჩვენებლად,
არამედ აპირებდა მათ გაქირავებას ბელგიაში, იტალიაში,
არგენტინაში, მანჯურისასა და ჩინეთში. პავლე პირონეს მიერ
შეიქმნილი ქართული ფილმები ისეთი წარმატებით სარგებ-
ლობდნენ, რომ წინდახედულმა ფრანგმა კომერსანტმა სას-
წრაფოდ დასდო ახალი ხელშეკრულება, სადაც ვალდებულე-
ბას კისრულობდა შეესყიდა „სახკინმრეწვის“ მიერ აღდე გა-
მოშვებული ყველა სურათი და ისინიც, რომელთა წარმოებაც
ახლა იწყებოდა.

ამავე წელს „სახკინმრეწვმა“ საქმიანი ურთიერთობა და-
ამყარა ბერძნულ ფირმა „ასტირ-ფილმთან“. ქართული ფილ-
მების წარმატებამ საბერძნეთში ყოველგვარ მოლოდინს გა-
დაატარა და მიუხედავად კინოსურათების მაღალი ფასებისა,
„სახკინმრეწვმა“ ჩვენი სურათების ექსპლათაკციის ნებაართვი-
სათვის მიმართეს ბერძნულმა ფირმამ „ირის-ფილმმა“ და სა-
ბერძნეთის კინემატოგრაფიულმა საზოგადოებამ „ეტალ-

ფილმმა“. მალე მათაც დაიწყეს ქართული ფილმების ჩვენება.
საყურადღებოა, რომ „სახკინმრეწვი“ მუდამ იცავდა თავისი
ფილმებისაგან კომერციული მოგების პრინციპს და ამასთან,
არასოდეს იციწყებდა საზღვარგარეთ ჩვენი სურათების გაქი-
რავების იდეურას და პოლიტიკურ მნიშვნელობას. როგორც
წესი, უცხოურ ფირმებთან თუ პროდიუსერებთან დადებულ
ყოველ ხელშეკრულებაში საგანგებოდ აღნიშნულია — არავი-
თარ შემთხვევაში არ შეიძლება ფილმის სიუჟეტის შეცვლა⁵.

საქართველოს „სახკინმრეწვის“ ფილმების ექსპორტის
მდგომარეობა 1928 წლის 1 აპრილისათვის ასეთი იყო: „გაი-
ყიდა: 1. „არსენა ყარალი“ — ჩეხო-სლავიასა და პოლონეთ-
ში; 2. „მუქურას საიდუმლოება“ — ავსტრიაში; 3. „უილიდ-
ვესტის მხედარი“ — ბალტიისპირეთში; 4. „ტარიელ მკლა-
ვადის მკვლელობის საქმე“ — ჩეხო-სლავიაში; 5. „წითელი ეშ-
მაკუნები“ — საბერძნეთში; 6. „ნათლა“ — ესპანეთში,
ბალტიისპირეთში, პოლონეთში, იტალიასა და ჰოლანდიაში;
7. „სავერ-საფლავი“ — ავსტრიაში; 8. „სამი სიცოცხლე“ —
ბალტიისპირეთში; 9. „ბელა“ — პოლონეთში, ბალტიისპი-
რეთში, ფინეთში, ჩეხო-სლავიაში; 10. „თავადის ქალი მე-
რი“ — ბალტიისპირეთში, პოლონეთში; 11. „ირი მონადი-

⁵ ორსკსა. ფ. 84, ს. 91, ფ. 45-46.

კალრი ფილმიდან „თავადის ასული მერი“



⁴ ორსკსა. ფონდი 1171; საქმე 1, ფ. 256.

რე" — იტალიაში; 12. სხვადასხვა ქრონიკა — ევროპასა და ამერიკაში⁶.

ამ დოკუმენტდანი ჩანს, რომ ქართულ ფილმებს უჩვენებდნენ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანასა და ამერიკაში. სამწუხაროდ, ჩვენს არქივებში არ შემორჩენილა საზღვარგარეთის პრესის — არც მაყურებელთა და არც კინოკრიტიკოსთა გამოხმაურება. მაგრამ მოგვეპოვება რამდენიმე მშრალი, ანგარიშობიანი ხელშეკრულება, დადებული „სახკინმრეწვის“ მიერ უცხოურ ფირმებთან, რომლებიც მოწოდებენ საზღვარგარეთ ჩვენი ფილმების უდიდეს წარმატებებზე.

1928-1929 წლებში საქმიანი კონტაქტები უცხოურ ფირმებთან — „პირონე“, „ირის-ფილმი“, „ასტირ-ფილმი“ — მჭიდროდგება და ისინი ითხოვენ ქართული ფილმების კიდევ სამი წლით ექსპლუატაციის მინიმალური უფლებას, ყიდულობენ ჩვენს სურათებს საკმაოდ ძვირად და არ ერიდებიან ხარჯებს ბათი რეკლამისათვის.

1928 წელს საქმიანი ურთიერთობა მყარდება სამხრეთ ამერიკის კინომრეწველებთანაც. ამავე წელს სამხრეთ ამერიკაში გაიგზავნა ფილმი „ნათელა“.

1929-1930 წლებში საზღვარგარეთ ჩვენი ფილმების ექსპორტი კიდევ უფრო მტკიცდება. მარტო 1929 წელს ქართული ფილმების საზღვარგარეთის ქვეყნების გერანგზე ექსპლუატაციით მიღებული თანხა 71 ათას დოლარს აღწევს.

ამავე წლებში საქსპორტო კავშირი ვითარდება ახლო

აღმოსავლეთის ქვეყნებთან — სპარსეთთან, თურქეთთან და სხვ. ამ ქვეყნებში „ამერკავკასიის კინოექსპორტის“ ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკის მივლინებამ გვიჩვენა აქ ქართული ფილმების გაქირავების „შეუზღუდავლი შესაძლებლობები“. „სახკინმრეწვის“ კარგად გამოიყენა ეს შესაძლებლობანი და საგაჭრო წარმომადგენლობის მეშვეობით სპარსეთში გაგზავნა 12 ფილმი: „ბელა“, „თავადის ქალი მერი“, „გიული“, „ბოშური სისხლი“, „ელისო“, „ჯაწყი გურიანი“ და სხვ.⁷ მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოებები ყველა მუხი სურათები იყო, ქართულ კინემატოგრაფისტთა ნამუშევრებს მაინც მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა და ისინი შესანიშნავად უწვედნენ კონსერვაციას ამ დროისათვის უკვე მკარანვე მოძალბულ უცხოურ ხმოვან ფილმებს.

1930 წლიდან ქართულ ფილმებს რეგულარულად უჩვენებენ საზღვარგარეთის ევროპაზე, „სახკინმრეწვი“ აქტიურად მონაწილეობს სსრ კავშირის კინოგამოფენებში, რომლებიც ეწყობოდა კაპიტალისტური ქვეყნების დიდ ქალაქებში — ფილადელფიაში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, რომში, პარიზში, მადრიდას და სხვ.

დღეს ის ვიწრო ბლივი, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი ათი წლის რთულ პირობებში გაკვალა ჩვენი კინოხელოვნების ბევრმა მოღვაწემ, უკვე იქცა ხალხთა შორის მყოფობობისა და თანამშრომლობის ფართო შარავნად.

⁶ ორსკსა, ფ. 600. ს. 1923. ფფ. 8-9.

⁷ ორსკსა, ფ. 84, ს. 101. ფ. 17.

ვაკან გალსტიანი

(დაბადების 80 წლისთავის გამო)

ვაკან ოვანესიანი



ბილისში რევოლუციამდელ პერიოდში მშრომელთა ფართო მასების თეატრალურ ხელოვნებასთან დასაკავშირებლად დიდ შემოქმედებით მუშაობს ეწვეოდნენ სცენისმოყვარეთა დრამატული წრეები, რომლებიც პერიოდულად დაგმდნენ სპექტაკლებს მუშათა უნებებსა და ზუგაბოების სახალხო თეატრის სცენაზე. ეს სპექტაკლები უფასო იყო, რაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდოდა მათ მშრომელთა ფართო აუდიტორიისათვის. ამ თვითმოქმედი

დრამატული წრეების ერთ-ერთი აქტიური წევრი და ორგანიზატორი იყო სომხური სცენის დაულალავი მუშაკი, ამაჰმად საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვაკან გალსტიანი.

იგი დაიბადა 1884 წელს ქ. თბილისში, აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. ვაკანს ბავშვობიდანვე იზიდავდა სცენა ამიტომაც 1903 წელს იგი შევიდა თბილისელ ნოქართა დრამატულ წრეში, რომლის სპექტაკლები პერიოდულად იმართებოდა აგჭალის აუდიტორიაში.

1904—1909 წ. წ. ვაკან გალსტიანი მონაწილეობს სხვადასხვა ქართულ-სომხურ დრამატულ კოლექტივებში და ხშირად გამოდის არაკასიანისა და მურაშკოვის თეატრების სცენაზე. შემდეგ კი გადადის ზუბალოვის სახელობის სახალხო თეატრის სომხურ სექციაში, სადაც 1921 წლამდე მუშაობს უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აქ გამოვლინდა მთლიანად ახალგაზრდა მსახიობის ნიჭი და მშრომისუნარიანობა. ამიტომაც იყო, რომ მას უკვე ისეთი საპასუხისმგებლო როლები მისცეს, როგორცა: სივინა („ნამუსი“), მურადი, („სულ ბოროტი“), ალექსანდრე („კლდე“), იოანე („იმპერატორი“, ერეკლე („ელატი“), რაიმონდი („უცნობი ქალი“), პეპელი

(„ფსკერზე“) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზუბალოვის სახალხო თეატრის სომხური დრამურის სპექტაკლებში გასამრჯელოს გარეშე მონაწილეობდა სომხური სცენის კორიფე სირანუშიც. ვაპან გალსტიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბევრ სპექტაკლში ღირსეულ პარტნიორობას უწევდა მას. თავის სცენურ ბიოგრაფიაში მრავალ გამოჩენილ სომეხ მსახიობებთან უთამაშნია ესენი არიან: ვაჰრამ ფაფაზიანი, ოვანეს აბელიანი, ოლა მარსურიანი, არმენ არმენიანი, არუს ვოსკანიანი, ოვი სევეშიანი, ისაკ ალისანიანი, ჟანმენი, ამო ხარაზიანი და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვ. გალსტიანმა კიდევ უფრო მეტი მონღომებით გააგრძელა თავისი საყვარელი საქმე ჯერ ხელმძღვანელობდა მეტყვევების პროფკავშირების დრამატულ წრეს. შემდეგ კი მშენებლებისას. მსატრულ ხელმძღვანელობასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა დრამურის სპექტაკლებში, როგორც მსახიობი და თავისი პროფესიონალიზმით მაგალითს აძლევდა სხვებს.

1922 წელს მეტყვევლების პროფკავშირების დრამურემ დადა ვ. ფაფაზიანის „კლდე“. ამაზე გაზეთი „ქრანია ზეზუდა“ წერდა: „რეჟისორად მოიწვიეს მსახიობი ვ. გალსტიანი. მის მიერ ორგანიზებულ წრეში უმთავრესად ახალი კადრებია მუშაობა ფენებთან. ჩანს, რომ ვ. გალსტიანი გულთ ზრუნავს და შრომობს, რათა სათანადო სიმალღეზე აიყვანოს ეს დრამურე, რომელსაც კარგი პირი უჩანს“.

მშენებელთა დრამურემ ვ. გალსტიანის ხელმძღვანელობით დადა შაკირ ვან ზადეს „მორგანის ნათლული“. გაზეთი „პროლეტარის“ რეკონსტრუქტი წერდა: „როლებს, როგორც პირნათ, მითიანად მუშაობს ასრულებენ, თუცა ისინი ახლა დამენ ისეთ პიესებს, რომლებიც მათ შესაძლებლობებზე მაღლაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მსახიობები კარგად თამაშობენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, მათი ხელმძღვანელების ვ. გალსტიანის დამსახურებაა, — რომელმაც დიდი ენერგია დახარჯა მუშა-მსახიობების მოსამზადებლად“.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე ვ. გალსტიანი მუშაობას იწყებს თბილისის სომხურ თეატრში, ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

— ვ. გალსტიანი დიდი ძალა სომხური თეატრისა — ასხიათებს რეჟისორი ს. კაპანაკიანი თავის ყოფილ მოწაფეს — იგი მშვენიერად ფლობს ენას და უღერსად გამოხმანველ დიქციას. ბევრს მუშაობს სასიათის შესაქმნელად. ვ. გალსტიანი გულმართალი და პირდაპირი ადამიანია, რომელიც მთელ თავის შესაძლებლობებს ხელოვნების სამსახურს, ხელოვნების ახმარს.

1938 წელს ვ. გალსტიანს, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ვ. გალსტიანს ორასზე მეტი როლი აქვს ნათამაშევი, მაგრამ მათ შორის არის ერთი სახე, რომელზეც იგი უდიდესი შემოქმედებითი ენერჯითა და ალტაცებით მუშაობდა. 1941 წელს ვ. გალსტიანს წილად ხვდა ნ. პოგოდინის ცნობილ პიესაში „კრემლის კურანტებიში“ ვლადიმერ ილიას ძე ლენინ-



ვაპან გალსტიანი

ნის სახის შექმნა. ამ დროისათვის მას უკვე სცენური მოღვაწეობის 40 წლის სტაჟი ჰქონდა, მაგრამ მაინც ახლებური ენერჯითა და მონღომებით შეუდგა საყვარელი ბელადის სახეზე მუშაობას. იგი ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა სხვადასხვა მასალებს, რადგან გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას. მსახიობის შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. მან შექმნა ლენინის შესანიშნავი სახე, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა პრესამ. კერძოდ გაზეთი „კომუნისტი“ წერდა:

„კრემლის კურანტების“ წამყვანი გმირია ლენინი, რომლის შესრულება განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა. უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. გალსტიანი ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით მოვკნა ამ როლის სცენურ ხორცშესხმას და გარკვეული წარმატება მიიპოვა.“

მსახიობმა კარგად შეისწავლა ლენინის მოძრაობანი, მანერები და კარგ პორტრეტულ შესავსებას მიაღწია. მის თამაშში შინაგანი სიმართლე იგრძნობა“.

ასეთივე დადებითი შეფასება მისცა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ და „სოვეტკან ვრსტანმა“ მსახიობის ამ ნამუშევარს.

ვ. გალსტიანმა, რომელიც 60 წელს ემსახურა სცენას, თავისი უნებარო მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ იგი იმ ენთუზიასტ მუშაკთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თეატრით ცხოვრობენ, რომლებიც თეატრის არსებობის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ თავიანთი არსებობა.

ვ. გალსტიანი 1963 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა. მონაცვლი თეატრმცოდნე, რომელიც თბილისში თვითმუქებით მუშაობა თეატრების ისტორიას დაწერს, აუცილებლად გაიხსენებს ამ საქმის ერთ-ერთი ენთუზიასტს და უნებარო მოღვაწეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ვაპან გალსტიანს.



ქარბი ნარკვევი

ლეილა კაკაბაძე



ასულ წელს თბილისში ფართოდ აღინშნა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო სასწავლო დაწესებულების — ჯაქარა ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის 25 წლის-თავი. ამ თარიღს მიეძღვნა მუსიკისმცოდნე თამარ ხორაშვილის მონოგრაფიული ხასიათის ნარკვევი „თბილისის ჯაქარა ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა“, რომელიც გამოცემულია „ცოდნამ“ დაბეჭდა. მასში ავტორი საკითხის ღრმა ცოდნით მოკვიბირობს სკოლის მიერ განვლილ გზაზე, მუსიკალური კადრების მომზადებაში მოპოვებული წარმატებების, სხვადასხვა სამუსიკალური განყოფილებების მუშაობის არსებით მხარეებისა და იმ ღირსშესანიშნავი მოვლენების შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სკოლის ცხოვრებაში.

ავტორს მართებულად დაუხმავს თავის ერთ-ერთი მთავარ ამოცანად, გვიჩვენოს, თუ რაოდენ შვიდრღობა დაკავშირებულია სკოლას რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრებისა და ცოცხალ ენაერთება მის მოსოვნებს. ნარკვევის თავებიდან: „პირველი ნაბიჯები“, „ინტერნატი“ და „საუნდო კლასი“ ვიკებთ, რომ ეროვნული საშემსრულებლო კადრების მომზადებაში ხარვეზების შევსების მიზნით მომკიციანი წლების განმავლობაში სკოლის განყოფილებათა რიცხვი თანდათანობით იზრდება. იხსენბა ინტერნატი სპარტოდლოს სხვადასხვა უსიზღვან ჩამოსვლ ბავშვთათვის, ხოლო მას შემდეგ რაც სკოლის ვოკალურმა და საუნდო-სადირიგორო განყოფილებებმა საუეთესოდ მომზადებული კადრები გამოუშვეს, ხდება მათი ლეივადიკა თანამხად სასწავლო გვემისა.

ასევე ნათლადა ნაჩვენები სკოლის შვიდრო კავშირი ცხოვრებასთან თავში „სამამულო ომის წლები“, რომელშიც აღწერილია, მუსიკოს-შემსრულებელთა საქავშირო, ამიერკავკასიისა, თუ რესპუბლიკურ კონკურსებში სკოლის მრავალრიცხოვან მოსწავლეთა წარმატებით მონაწილეობის შესახებ.

ნარკვევში სათანადო უურადლება ეთმობა სკოლის წინაშე წამოჭრილ უმნიშვნელოვანეს, მეთოდური ხასიათის საკითხებსაც. ესენია: 1. ეროვნული მუსიკალური სტილის ათვისების მნიშვნელობა ბავშვთა პროფესიული აღზრდის პროცესში, რააც სასწავლო პროგრამებში პართელ კომპოზიტორთა ნაწარმოებების, ხოლო სასწავლო გვეგებში დამოუკიდებელი დისციპლინის სახით პართული მუსიკალური ფოლკლორის შეტება გამოიწვია, 2. სიმფონიურ კონცერტებში იმ მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხი, რომლებიც აკარგდ სძლევენ წლიურ პროგრამას, 3. ზოგად-საგანმანათლებლო სექტორზე სპაროგრამო მასალის ათვისებმა მოსკალურის მეთოდის გამოყენების საკითხი და სხვ.

ნარკვევის უდიდესი ნაწილი მრავალფეროვანი განყოფილებების საქმიანობისა და მოსწავლეთა აღზრდაში მოპოვებულ წარმატებათა გაშუქებას ეთმობა. ცალკე თავების სახითაა წარმოდგენილი საფორტეპიანო და საორკესტრო (სიმებიან საქრავთა) განყოფილებები, რომელთაც ავტორი სკოლის წამყვან განყოფილებებად მიიჩნევს, აგრეთვე საუნდო-სადირიგორო განყოფილება და ის მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს მუსიკალურ თეორიული საგნების სწავლების ხაზით. უფრო ნაქლები უურადლება ეთმობა ამახმად ლეივადირებულ ვოკალურ განყოფილებას, რომელმაც თავის დროზე მრავალ თვალსაჩინო მომღერალს გაუკავა გზა და საორკესტრო განყოფილების სასულე საქრავთა დარტს, სადაც დიდი მუშაობა მიმდინარეობს შემსრულებელთა ეროვნული კადრების აღზრდის ხაზით. უფრო მართებული იქნებოდა, ავტორს სიმებიანი და სასულე საქრავთა დარტები ერთად გვეშუქებინა, როგორც ერთ საორკესტრო განყოფილებაში შემავალი, ხოლო ვოკალური — გამოეყო ცალკე თავის სახით.

დასანაია, რომ ავტორს სრულიად გამორჩა მხედველობიდან ჩატარებული მუშაობა ისეთი თვალსაჩინო დისციპლინის ხაზით, როგორცაა ფორტეპიანოზე დაკრის საუადლებული სწავლება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არაბანისტ შემსრულებელთა მუსიკალურ განვითარებაში, მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებასა და მუსიკალური შორიზონტის გაფართოებაში. ამის გამო სკოლის პედაგოგთა მთელი ჯგუფის ენერგული და თავდადებული შრომა შეუფასებელი დარჩა.

ნარკვევში ვხვდებით თითო-ორილა არჩუსტ გამოთქმას, როგორცაა, მავალითად, პლიფონიური ანსამბლი (ლაპარაკია მოსწავლე მეგილინეთა ანსამბლზე) ანდა შირეული კონცერტები (იფულისხმებდა მოსწავლეთა აკადემიური კონცერტები).

წინე მხატვრულად ღლამადაა გაფორმებული. მათში სკოლის მესკიერთა, პედაგოგთა და უყოფლ მოსწავლეთა ბვირ სურათია მოთავსებული, თუმცა ავტორისაგან აქაც შეიძლებოდა მოგვეთხოვა რაიმე ერთი პრინციპით ხელმძღვანელობა.

თამარ ხორაშვილის ნარკვევი „თბილისის ჯაქარა ფალიაშვილის სახელობის (ინტერნატი მუსიკალური სკოლა“ წიგნის სამყაროს კარგ შენაქნეს წარმოადგენს.



ფიქრი კრილოსანივით აეწყობა, ერთმანეთში აირევა წარსულის მოგონება და მომავალზე ოცნება, სიხარულისა და სინანულის განცდა. ერთი სიტყვით, ეს არის პოეტური წუთები.

ასეთ წუთებში შეგხვდი ვასო ყუშიტაშვილის იმ შემოდგომის დღეს სოხუმში. იგი ზღვის პირას იდგა და შორს ლურჯ სივრცეს გასტკეოდა. საოცრად წყნარი იყო ზღვა. გამაზსენდა ტიციან ტაბიძის სტრატეგები:

„ზღვა იყო ისე მშვიდი და წყნარი, იყო თუ არა რომ აღარც მახსოვს“.

რატომაც ფიქრის კაცად ვერ წარმოგედინა ვასო ყუშიტაშვილი. მას მუდამ მომლიმარს, მოუსვენარს, იუმორით სავსეს ვხედავდი. ასე მეგონა არ უყვარდა ბუნების წიაღში განმარტობა და იდუმალი საუბარი. იგი ცხოვრების კაცი იყო თავისი მახვილგონიერებითა და ოპტიმიზმით. ბევრი რამ ენახა ამ ქვეყნად და იშვიათად თუ გაიოცებდა რასმე. დიდი ერულიცაა ჰქონდა და ფაქიზი გემოვნებით გამოირჩეოდა.

იგი მშვენიერი მოსაუბრე იყო, არასოდეს არ გვლიდა, არავის აწუხებდა. ხალისიანად იცოდა თავისი მიმივე ცხოვრების ეპიზოდების მყოფლაც, მსუბუქი იუმორით არბილებდა მას.

მაშინ დიდხანს ვისაუბრეთ ზღვის პირას. იგი მიამბობდა ვეროპის თეატრებზე, ამერიკაზე — „პარადოქსების ქვეყანაზე“, როგორც ის უწოდებდა. ჰყვებოდა დინჯად და იუმორით. ხიბლავდა სადა, მართალი ხელოვნება და ყველაფერს რეალისტური თეატრის პრობლემას უკავშირებდა.

ახლა, როცა იგი ცოცხალი აღარ არის, ჩვენთვის სულ სხვაგვარი აზრი მიეცა ბევრ რამეს, რასაც იგი მიყვებოდა. სხვაგვარად წარმომიდგება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზაც.

ასე მეგონია: ვასო ყუშიტაშვილი რამდენადმე დაუფასებელი და მოუფერებელი წავიდა. მას აკლდა ყურადღება ჩვენი კრიტიკისა. იგი ამ მხრივ გამომაკლისიც არ იყო. უცნაურად წარიმართა ქართველ რევისორთა ბედი. გავისხნეთ კ. მარჯანიშვილი, ს. ანგეტელი, გავისხნეთ სხვებიც. განა საკადრისად არის შეფასებული ა. წუწუნავას დიდი ამაგი?

და ეს ხდება ჩვენში, სადაც ასე ცოტაა რევისორული ტალანტები. ეს ხდება „რევისორის საუკუნის თეატრში“!

სინაზაზე პაჯჰპარაღინა

„თეატრალობის“ ნიჭი ადრე იღვიძებს ადამიანში. იშვიათად შეხვდები ადამიანს, რომ წარმოგედგების ხილვისას, „არტისტად“ ქცევის სურვილი არ ჰქონოდა. რა არის ეს? მიბაძვის სურვილია, რომელიც ასე ძლიერია ბავშვობის ასაკში, თუ „საჯაროდ გამოჩრევის“ ინსტიქტი? პოეტური ამღერება და თეატრალური ცდუნება სიყრმის თანამგზავრია და ამაში იქნებ არის რაღაც დიდი შინაგანი კანონზომიერებაც. საჭიროა იმთავითვე ბუნებრივი გზა მიეცეს შემოქმედის ნიჭს, ფაქიზად გამოირკვეს თუ რა არის მასში ღრმა და ნამდვილი, რა არის ის, რომელიც უმედვე აღარ იზრდება, „მაღე ჰქნება, თავის სურნელებას ჰკარავას“.

დიდი ილია შემოქმედის ნიჭით მომადლებულუბს წერდა: „ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გემინით, იგი არ მიეგ-

**ხელოვანის
გზა**

ვასილ კიკნაძე

სოხუმში ნავიგანევი შემოდგომა იდგა. ზღვის პირას გამწკრივებულ პალმების ჩრდილებს მიყვებოდი. მით ჯერ კიდევ შერჩენილდათ სასიამოვნო სივრილე. ფიქრისა და დასვენებისთვის შესანიშნავია ზღვის მცხუნვარე მზე და ჩრდილი. ასეთ დროს თითქოს რაღაც დიდი სინათლე შემოდის სულში, რაღაც ნაზი სევდა და სიმშვიდე ეუფლება მთელს არსებას. ეს არის უსაზღვროების გრძნობა, სულისა და სხეულის სივანსადის განცდა, თუ კიდევ სხვა რამ, ახლა ძნელია მას კონკრეტული სახელი უწოდო. მაგრამ ის კია, რომ ასეთ ყოფაში შევიძლია საათობით იდგე, არ მოგწყინდება.

მალეობა არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეთქებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულდასა, თონღდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლვთ მაგ უსუსურ მადლს — იმცნობრების ნიყურის ძუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიმართოთ ხელი მაგ საკეთილო გზაზედ, ჯერ ისეალებო, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მიერ სხვასაც შესძინოთ რამე“.

ლილი ამ შეგონების გაპყვა ჭაბუკი ვასო. იგი საოცრად გაიტაცა თეატრის გიმნაზიის წლებში, მაგრამ სწავლისათვის არაფერი დაუკლია. იგი სწავლობდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე და პარალელურად ვერა კომისარჟევსკაიას სტუდიაშიც დადიოდა. ეს იყო მოსკოვში. მანამდე კი „დიდი თეატრალური“ გზა განვლო გიმნაზიის წლებში. იყო დეკლამატორი, მხატვარი, რეჟისორი და აქტიორი. თითხმები წლის ასაკში უკვე „თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი“ კი ვიყავი — ხუმრობით იფინანსოდა.

და, აი, „მთელი გაზაფხული იარსება „კორუების უზნის თეატრმა“. აფვისტოს ბოლოს, როდესაც მაყურებლები სპექტაკლის სანახავად მოვიდნენ, საღაფის „თეატრის“ კარებზე ასეთი წარწერა დაუსვდათ: „ვიინაიდან ხვალ ზოგ ჩვენს მსახიობს განმორიებთ (საშემოდგომო) გამოცდა აქვს, ამიტომ წარმოდგენა დღეს არ შედგება“!

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და თეატრალური სტუდია, ეს იყო გზაჯვარედინი ყუმიტაშვილის ცხოვრებისა. რომელს აირჩევდა, რა გზას გაეყვებოდა პირველ ორ წელს ჯერ კიდევ არ იყო სასებით ნათელი. მხოლოდ სწავლის მესამე წელს გადაწყვიტა, რომ მთელი თავისი ცხოვრება თეატრისათვის დაეკარგებინა.

დაიწყო გატაცების, ძიების, თეატრალურ სამყაროს სიღრმეებში წვდომის, სხვადასხვა ლიტერატურულ და თეატრალურ მიმართულებათა გაცნობის წლები.

...მოდერნი, ანდრეევი, მეტერლინი. გატაცებას მათი შემოქმედებით მალე ცვლის პუშკინი, ტოლსტოი, გოგოლი, დოსტოევიკი. ჩხოვივი გახდა მისი უსაყვარლესი მწერალი. მოინახლა ვიოკის მებრძოლი, ვეპაკეური რეალიზმით. პეტროგრადის რევოლუციურ მღელვარებას შეუერთდა ახალგაზრდა ხელოვანიც.

პეტროგრადიდან მოხუცი მშობლების სანახავად ჩამოვიდა იგი საქართველოში. უმწეო მდგომარეობაში დახვდა ქართული თეატრი. მენშევიკებს თეატრისათვის „არ სცალიათ“.

ყუმიტაშვილმა კარგად გაიყო იმგამინდელი საქართველოს ცხოვრების აზრი. მოწმე გახდა დაბნეულობის, ქაოსის, ალტკინებისა...

და მე საესებით მესმოდა სიხუმში თუ რატომ მაცნობდა ასე გატაცებით ყუმიტაშვილი ვ. კანდელაკის პიესის „ქართლის ჩირაღდენის“ რეჟისორულ ჩანაფიქრს იმ ნაგვიანები შემოდგომის დღეს. მერე როცა ვუყურებდი სპექტაკლს ვგრძნობდი როგორ ფაქიზი ნიუანსებით ქსოვდა რეჟისორი სცენურ ატმოსფეროს. აქ ყველაფერი ერთ მიზანს ემორჩილებოდა, — სცენაზე დამკვიდრებულიყო ნამდვილი ცხოვრება, მართალი, წრფელი და მხატვრულიად ამაღლებული სი-

ნამდვილე. სპექტაკლში იყო ერთი სცენა, რომელსაც „შავი ბაზარი“ ერქვა. ყუმიტაშვილმა მას დიდი დღეური და ფსიქოლოგიური დატვირთვა მისცა. როგორც მან მოთხრა „შავი ბაზარი“ გუასაცდინლი — ქართული არისტოკრატის ნიჭიერი შვილთა პოლიტიკური ილუზიების სვედიანი გამოთხოვება უნდა ყოფილიყო: ... სცენაზეა პატარა „სახაშე“, იქვეა, რაღაც ქვის ყველაფერი რაღაც ბუნდოვან მოგონებებშია წასული. აქა იქ მოსმანს ადამიანთა სილუეტები. ისინი ერთ პოზაში გახევებულან ქანდაკებასაგით. ისმის სვედიანი მულოდია, და ასეთივე მწუხარე ტონით თქმული ნაწყვეტები სიტყვისა. უყურებთ მათ და ფიქრობთ: ხომ შეიძლებოდა ისინი კეთილად ამიანები ყოფილიყვნენ, პოლიტიკურად უცნობი რომ არ იყვნენ? მათაც ხომ შეუძლიათ ამაღლებული სიყვარული, შეუძლიათ სვედა, მეგობრობა, პოეტური განცდა?...

რეჟისორმა ამ სპექტაკლით გაიხსენა მენშევიკური საქართველოს მიძინე და უსხარატლო წლები. მის სსოფანს ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენოდა იმ დღეების სურათები, ნაცნობ ადამიანთა სახეები.

ვ. ყუმიტაშვილის პირველი სპექტაკლი „ანტიგონე“ იყო. ვასო დიდი კმაყოფილებით იფინანსებ პიესაზე მუშაობას: „არასოდეს დამაწივდებთ, — წერს იგი — ის სითბო და სიყურნა, რომელიც უფრისებმა გამოიჩინეს ჩემს მიმართ, ეს იყო ჩემი პირველი დღეგმა ქართულ სცენაზე. ანტიგონეს თამაშობდა ნინო დავითაშვილი, კრუნოს — იმხნელი. ზედმეტი შემწინების მიცემას ვერდებოდი. ახალგაზრდა ვიყავი, უფროს მსახიობებს პატივს ვცემდი და ზედმეტ მოტარებებს ვიჩინე. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი სახე ვერ მალავდა ჩემს შინაგან წუხილს — ზედმეტ მეტყობოდა, რომ რაღაც არ მომწონდა, ნინოსა და იმხნელს არა ერთხელ უთქვამთ ჩემთვის. შვილი, ნინოსის თქმა გინდა, გვიანობა ნუ ვეჩივდებოთ“.

უფროსების გამამხნეველები სიტყვა მთელი ცხოვრება ახსოვდა ყუმიტაშვილს. ალბათ თავადაც ამიტომ იყო ასე ყურადღებიანი ახალგაზრდა რეჟისორების მიმართ.

დაიწყო ცხოვრების რთული გზა. ვ. ყუმიტაშვილი მენშევიკურ საქართველოდან წავიდა საზღვარგარეთ. სამხატვრო თეატრის ტრადიციებზე გაზრდილი, სიმართლის ხელოვნებას მოწყურებელი ახალგაზრდა უკებ თასი „იზმების“ თეატრალურ სამყაროში მოხვდა.

მაგრამ სულ სხვა იყო ვ. ყუმიტაშვილის მიზანი!

დღეები პარიზში

მომავლ საუკუნის ოციანი წლების ევროპა ახალი რიტმით ცხოვრობდა. ეს იყო ტექნიკის უწყვეტი პროგრესის, რევოლუციური აზვრთებების, ახლის ძიების, პლასტიკური ხელოვნების გამორჩევის, საოცრად წინააღმდეგობრივი თეატრალური ცხოვრების ეპოქა. ტემპარამენტის სიციფილეს და პორიონტის სიფართოვე აკლდა ბევრ თეატრს. ფორმალისტური ნოვატორიობის მიძინა დარჩა ღრმა ადამიანური პრობლემები.

ვ. ყუმიტაშვილი გაიოცა შემოქმედებითმა ქაოსმა, რომელიც იმგამინდელ პარიზში იყო. მისი ბუნების ხელოვანს არ

1 ს. ჭეიფილი „ვასო ყუმიტაშვილი“. ეს მონოგრაფიული ნარკვევი ბეგრ საინფორმაციო მასალას შეიცავს რეჟისორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

შეძლო გაეზარებია ყალბი თეატრლობის, დეკლამაციის, ჭარბი ფესტიკულაციის ხელოვნება. მისი გაოცება ძალიან მო-
ავადდა კ. მესხის შთაბეჭდილებას, რომელიც მან ფრანგული
თეატრისაგან მიიღო ყუმიტაშვილზე ორმოცი წლით ადრე.
„როდესაც ღრამი წარმოდგენაზე დასწრებით, ასე გავიზა
არტისთვის ვი არ ლაპარაკობ, მღერიათ. ეს ძველები
მეთოდია თამაშისა, დეკლამაციური და თუ ყველა აქტიორებ-
მა დეკლამაციით დიწყებს ლაპარაკ სცენაზე. ამაზე არასასი-
ამბოვნო ყურისთვის არა იქნება რა! ამას გარდა, ავგვარი
ლაპარაკი ხელოვნების წინააღმდეგეც არის და ცხოვრებასთან
მიუმსავსებელიც, რადგან თეატრი კაცობრიობის ცხოვრების
სურათებს წარმოადგენს, თეატრში მითამაშე ისე უნდა მოიქე-
ცეს და ილაპარაკოს, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში მოქმე-
დებენ და ლაპარაკობენ.“ (კ. მესხი“ გვ. 40). ეს არის მარ-
თალი, რეალისტური ხელოვნების აპოლოგია და რა საოცრად
ჭკავე იგი ვ. ყუმიტაშვილის თეატრალური მრწამსს!

პარიზი მარტო მოდერნების, „მეოცუკ-პოლემისა“ და „ვა-
რეტესკ“ ტიპის თეატრალური სამყარო როდია. არის პარიზი
დიდი რეალისმის, ნათელი და ვაკუაციური ხელოვნებისა. ასე-
თივ ნახა ვ. ყუმიტაშვილმა იქ და შთაგონებით ეზიარა
მას.

მეოცეუდო, ახლის მაძიებელი, ფაქიზი გემოვნებისა და
ფართო ენოდეციის ახალგაზრდა მალე ცნობილი გახდა პა-
რიზის თეატრალური წრეებში.

ყველაზე მეტად მას „ანტუანისა“ და „ვიე კოლომბის“
თეატრალური მანერა იზიდავდა. უფრო ახლოს იყო იგი მის
ესტიტეტიკურ იდეალებთან. გამორჩეულ ფრანგ რეჟისორ შარლ
დიულენთან ერთად ყუმიტაშვილმა ჩამოაყალიბა ახალი ტი-
პის, ფრანგული თეატრალური პრაქტიკისათვის უცნობი ხა-
სიათის სტუდია. მალე იგი გამოეყო „ანტუანის თეატრს“ და
წარმოიქმნა, როგორც დამოუკიდებელი თეატრალური ორგა-
ნიზმი. „ატელიე“ ერქვა ამ თეატრს.

მიმდე იყო ახალი თეატრის საწყისი პერიოდი. ენტუზიას-
ტებმა დემოკრატიული ხაზით განაწიარეს იგი. სოციალური
პრობლემები, უბრალო ადამიანთა ცხოვრების თემა დაიკვიდ-
რდა „ატელიეს“ სცენაზე. თეატრმა მალე მოიპოვა ავტორი-
ტეტიკი. 1924 წელს ვ. ყუმიტაშვილმა კ. გოლდონის „მარაო“
დადგა. გოლდონის ეს პიესა მხოლოდ 162 წლის შემდეგ და-
იდგა პირველად. მისი პირველი რეჟისორი ვ. ყუმიტაშვილი
იყო. კრიტიკოსი ჯაკ ტერი „მარაოს“ დადგმის გამო წერდა:
„სპექტაკლი ჩაუსოვილია მიელი XVII საუკუნის მომხიბ-
ვლობა, იგრძნობა დამდგმლის არაგვეულბერივი სივარჯიზე
თვით დეტალებშიც კი. ეს წარმოდგენა გვიჩვენებს არა ცალ-
კეულ მსახიობებს, არამედ მიულ დასს, თეატრის სახეს, ჩვენ
მა ყველას ერთნაირი ქებით ვასახელებთ“. სხვა კრიტიკოსე-
ბის აზრით „მარაო“ ერთადერთი მრავალმხრივი სანტერესო
სპექტაკლია, რომელიც შეიძლება ნახო დღეს პარიზში“. „მა-
ტონი ყუმიტაშვილი განსაკვირვებელი გამოგონებელი და
მგრძნობიარე რეჟისორია. მის მიორე დადგმებს ჩვენ მიუთ-
მენლად ველოთ“. „ყველაფერი ხალსით, სიმუხუბუქით, ახალ-
გაზრდული სისხლჭარბი სიციხვით იშლება და წარმატებაც
დილია“. — წერდა პარიზის პრესა.

„მარაოს“ დადგმის წარმატების ამბავი გასცდა პარიზს.

სპექტაკლით დაინტერესდნენ ინგლისისა და ამერიკის თეატ-
რალური წრეები.

ქართული რეჟისორი დაინებით, ქედუხრულად მიიწვედა
წინ. მას თავს ესხმოდა რეპეციული პრესა, არ მოსწონდათ
რეჟისორის შემოქმედების მამხილებელი პათოსი. ეს განსა-
კრთობებით საგონებლო გახდა მოლიერის „ეორე დანდენის“
დადგმის შემდეგ, ორად გაიყო საზოგადოება, პრესა, კრიტი-
კა. ერთნი ასე წერდნენ: „ვისაც სურს იხილოს თუ როგორ
უნდა დაიდგას მოლიერი სცენაზე, ნახეთ „ეორე დანდენი“
„ატელიეში“. მეორენი აკრიტიკებდნენ სოციალური მოტივე-
ბის წინა პლანზე წამოწევას. ასე იყო თუ ისე, ფაქტად იქცა
ვ. ყუმიტაშვილის წარმატება.

სოციალური პრობლემატია, პოლიტიკური სიმახვილის
გრძნობა მართლაც და წითელი ზოლივით გასდგდა ვ. ყუ-
მიტაშვილის მოვლავუბას პარიზში. განსაკრებებით მკვეთ-
რად გამოჩნდა ეს ტენდენცია ელ-რეჟისა და დე ვენის პიესე-
ში „დეი მარხასა“ და „სივარჯლის ნებანის“ დადგმაში,
მაფრმა სატირამ იმპაინიველ საფრანგეთზე დიდი ხზაური
გამოიწერა. პროგრესულმა კრიტიკამ სწორად გაიგო სპექტა-
კლის მიზნა. ერთ-ერთი პარიზული გაზეთის აზრით ვ. ყუ-
მიტაშვილს აქვს „სატირის გრძნობის იშვიათი უნარი“. „ეს
არის რაბლეს ძარღვიანი სატირა, და მამე დროს იგი გაე-
დენილიათ აღფრედ დე მიუსეს სულით. მასში მოვლენები და-
ხატულია რაბლესებური გროტესკით, ხოლო ადამიანთა გან-
ცდებში ჩაღვრლია მიუსეს სედა, ნაველიანი იუმორი“.

სიხლის გრძნობა, დაუცხოომელი ახალგაზრდული ტემპე-
რამენტე, ფაქიზი იუმორი ვ. ყუმიტაშვილის სპექტაკლების
თვისებად იქცა, მის წარმოდგენებს ალტაცებული ხედებო-
დენ ლოდონისა და ამერიკის, შვეიცარიისა და ნორვეგიის
გაზეთები. მალე პარიზის პრესაში ვაჩნდა ცნობები, რომ
„ქართული რეჟისორი ყუმიტაშვილი მიემგზავრება ამერიკა-
ში, რათა იქ დადგას კლასიკური ოპერეტები“. წინააღმდე-
გობით სასეც იყო თეატრალურ სამყაროში ნათელი, რეალის-
ტური ხელოვნების ძიების, თეატრის საიდუმლოებაში წედო-
მისათვის ბრძოლის წლები. ყუმიტაშვილმა დასტოვა საფ-
რანგეთი და ეწვია ახალ კონტინენტს, „პარადოქსების ქვეყა-
ნას“.

„პარადოქსების ქვეყანაში“

— „მოიღო, ბატონებო, ერთხელ ვიყოთ ორიგინალური,
დაწვრილი, რომ მე ვარ გლეხი და არასოდეს სამხატვრო თე-
ატრში არ მიმუშავანია“. — განხატდა რეპორტიორებს ვ. ყუ-
მიტაშვილმა. სენსაციებს, რეკლამას დახატობულ დირექ-
ტორს ლამის შოკი მოუვიდა, ეს რომ შეიტყო. მაგრამ ყველა-
ფერმა მსუბუქი იუმორის ხასიათი მიიღო და „უძველესი თა-
ვადის“ შთამომავალი, „სამხატვრო თეატრის“ რეჟისორი
ვ. ყუმიტაშვილი მალე ჩაება ამერიკული ცხოვრების რიტმში.
იმავე წელს (1929), 20 დეკემბერს ამერიკის თეატრალურ
რეპორტიორთა პირველად შემხად შორეული ქვეყნიდან მო-
სული ქართველი რეჟისორის ხელოვნებას. ბრუკლინის თეატ-
რში ახლებურად აქედრდა ოფენბახის ოპერა „გეროლმეტინის
პერეგონია“.

— „სპექტაკლი, — წერდა ერთ-ერთი გაზეთი — საუკე-
თესო იყო იმ დადგმათა შორის, რაც ჩვენ უკანასკნელ წლებ-

ში გვიწინავს. დამდგომემა ისე გარდაქმნა მსახიობები, ისინი ისე ცოცხლად, ხალისიანად და დიდი იუმორით მოქმედებდნენ, რომ გვეგონა თვითვე ტკებმოდნენ თავიანთივე შემოქმედებით. კრიტიკამ ქართული რევოლუციის სექტაკლი დაუპირისპირა ბროდვეის თეატრებს. „წარმოდგენა გამსჭვალულია სიცოცხლით, მისმა სიცოცხლეებმა და სახლებმა დიდი სიხარული მოგვანიჭა. ეს სექტაკლი წარმოადგენს დიდ კონტრასტს იმისა, რასაც ჩვენ ხშირად ვხვდებით ბროდვეის თეატრებში“. ასე განმარტავს ყუმიტაშვილის პირველივე სექტაკლი ამერიკაში.

ერთი წლის შემდეგ ვ. ყუმიტაშვილმა დადავა გილბერტისა და სელივანის ცნობილი ოპერეტა „კონსოლიდირება“. სექტაკლისადმი ინტერესი დიდი იყო, მაგრამ ყუმიტაშვილი გრძობდა, რომ შინაგანი ხმა სულ სხვას მოუწოდებდა. მას აღარ აკმაყოფილებდა მიღწეული. თეატრალური ატმოსფერო კი მიმდ იყო. კრიზისმა მოადუნა რეალისტური ხელოვნების იმპულსი.

ყუმიტაშვილი მალე ლაბორატორიულ-ექსპერიმენტულ თეატრში გადავიდა. რეჟისორს სწამდა, რომ ეს თეატრი უფრო ახლოს იყო მის მხატვრულ — ესთეტიკურ იდეალებთან. ყუმიტაშვილს აქ მეტი დამოუკიდებლობა, მეტი შესაძლებლობა მიეცა. მან გამოაქვეყნა რამდენიმე თეორიული ხასიათის სტატია, რომელშიაც განსაზღვრა ექსპერიმენტული თეატრის მხატვრული პრინციპები. ამასთანავე მკაცრად გააკრიტიკა ბროდვეის თეატრები. „ბროდვეეზე, — წერდა იგი — ერთად ერთი კრიტიკერიუმი არის ფული. ბროდვეის ხელოვნებაში ყველაფერი განსაზღვრულია იმით, თუ რა შემოსავალი მოაქვს მას“.

ექსპერიმენტულ თეატრში დადავა „მარაო“, კაუფმანის „ერთხელ სიცოცხლეში“, ჩესოვის „ალბერტის ბაღი“. „პარადოქსების ქვეყანაში“ ბევრი რამ ნახა და განიცადა ყუმიტაშვილმა. მან იგრძნო „ყვითელი ემპაისი“ ყოლის-შემძლე ძალა. დინახა საოცარი კონტრასტები, წინააღმდეგობანი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველ სფეროში. იგემა წარმატების სისარულიც, მაგრამ მიუღს მის ცხოვრებას თან სდევდა რაღაც დიდი სევდა. ეს იყო სამშობლისაკენ მიწვევითი ადამიანის სევდა.

1933 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა. „არასოდეს არ მიგრძნია თავი ისე ბედნიერად, — იტყვინდა ვასო, — როგორც მაშინ, როდესაც სამშობლოს მიწაზე დაგდგი ფეხი.. ყველაფერი — ხეებიც, მთებიც, ადამიანებიც ბუმბარაზეზად, უძლეველი ნების გამოძახატელებად, თავისუფალ ტიტანებად შეგრძენებოდნენ. ეს ჩემი მეორედ დაბადება იყო“.

„მეორედ დაბადება“

ქართული თეატრის მღელვარე ცხოვრებას შეუერთდა კიდევ ერთი ახალი შემოქმედი. იმხანად მთელი საქართველო „თეატრალურ დისპუტში“ იყო გახვეწილი. ყველან თეატრზე ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს უპირისპირებდნენ რეჟისორებს, მსახიობებს, სექტაკლებს. იყო აზრთა ჭიდილი, რადაც და დცვა და რადაცის უარყოფა. ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება დულდა ქართულ თეატრში. მარჯანიშვილის

ბრწყინავლე სექტაკლების გვერდით იდგებოდა ამხეტელის „ანთროპი“, „ლამარა“, „ყაზალები“.

თეატრალური ძიებით სავსე ეს წლები განსაკუთრებულ აირობებში აყვებდა ყუმიტაშვილს. რა უნდა შეექმნა ახალი და არსებულსაგან განსხვავებული? რას შემატყობდა ქართული თეატრს? რთი იქნებოდა იგი ორიგინალური? ყველას აწუხებდა ეს კითხვები. და აი, ყუმიტაშვილმა თავისი პირველი რეჟისორული მუშაობა ქუთაისში დაიწყო. მან ქართული მუშაში ერთგვარი წინასწარი განაცხადი გააკეთა თუ როგორ ესმოდა მას ახალი ქართული საბჭოთა თეატრის დანიშნულება: „ხელოვნება, — წერდა იგი — არ არის მარტო კერძობა“; არ არის მარტო ერთობა. ხელოვნება მხატვრული სახეებით აზროვნებაა, — კულტურული დასვენებისა და შემოქმედებითი ენერჯის დარგოვების წყაროა, ხელოვნება ადამიანთა განათლებისა და სოციალისტური აღზრდის მხატვრული საშუალებაა“.

თითქმის ახალი და განსაკუთრებული არაფერია ამ სიტყვებში. თითქმის ყველაფერი ნაცნობია, მაგრამ მიივს სხვაგვარი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როცა ამას ამერიკიდან დაბრუნებული რეჟისორისაგან ვისმენდით. ეს მარტო ლიტონი სიტყვა რდიდ იყო. ყუმიტაშვილმა თავისი რეჟისორული მუშაობის დასაწყისშივე გვიჩვენა, რომ ქართულ თეატრს შემემატა დიდი რეალისტი ხელოვნება.

ქუთაისში პირველი სექტაკლი ბ. ჯონსონის „კოლონე“ იყო. იგი გააზრებული იყო, როგორც ბურჟუაზიული მასყარის მამხილებელი წარმოდგენა. სიმართლის გრძობა, ნაიფი და სადა თეატრალური გამოსახულება, მსახიობებისადმი მთელი გულსიყვარი, ხილადად მავუტრებელს და სწორედ ეს მომენტები შენიშნა კრიტიკისმაც, „რეჟისორი პირველ რიგში აყენებს აქტიონს. არც ერთ აქტიონს არ შეიძლება ვუწოდოთ მიზეზი, რადგან თვითუღლი მათგანი რეჟისორის თანაპირი ყურადღების მიბეჭტა... სისადავე და შინაგანი დინამიკა, აი როგორ შეიძლება ამ დადგმის დახასიათება“ („კომუნისტი“, 27/1 1934 წ.), ამ აზრს უფრო აკონკრეტებს ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. „ასეთი სტილის სექტაკლს, — წერს ჟურნალი — თქვენ ვერ იპოვით საბჭოთა კავშირის ვერც ერთ თეატრში. თავისი ხასიათით, ტონალბობითა და რიტმობობით იგი საესეებით გამოირჩევა საბჭოთა სცენისათვის დამახასიათებელ სექტაკლებსაგან... ეს სექტაკლი თუთოდ ახალი მხატვრული სიტყვაა“; „ყუმიტაშვილის სექტაკლი მხატვრული სისადავის განსახიერებაა. ქართულ სცენას იშვიათად თუ უნახავს ასეთი სადა, ყოველგვარი ზოხილ-პოიბლიზისაგან განტყობილთული, ყალბი პათოსისაგან გამიჯნული, ბუნებრივი მეტყველების სექტაკლი“. და კიდევ ერთი: „ბუნებრივობა და ადამიანურობა არის მთავარი, რასაც ეს საფუძვლად უდებს ყოველ მოზანსცენას“.

როგორც ვხვდებით ვ. ყუმიტაშვილმა პრაქტიკულად გაამართლა ის, რაც თეორიულად განაცხადა. თქმა არ უნდა, რომ გადაჭარბებულა რეცენზენტის სიტყვა თითქმის „კოლონის“ სტილის სექტაკლს „საბჭოთა კავშირის ვერც ერთ თეატრში“ ვერ შეზღვებდით. თითქმის მხოლოდ ეს სექტაკლი იყო სადა და ადამიანური, მაგრამ საქმე ასეთ მუყასებაში რდიდა. ფაქტია, „კოლონის“ სახით ქართულ საბჭოთა თეატრს შე-



ემატა მართალი, ადამიანური განცდებისა და ენებების სპექტაკლი. მისი რეჟისორი ქართული აუდიტორიის წინაშე წარსტავდა, როგორც უღრესად საინტერესო, სათელი მზატვრული აზროვნების, უასალი თეატრალური ფორმების რეჟისორი. ყუმიტაშვილისათვის სპექტაკლის ფორმა ეს იყო პიესის ფორმა. მან არ მოსწონდა ისეთი რეჟისორები, რომლებიც წინასწარ მოაზრებდნენ ხოლმე რაღაც აკვიტებულ ფორმას და მას ტომარასავით ჩამოაცმევენ პიესას.

კ. მარჯანიშვილის სიკვდილი აუზარაურობელი დანაკლი-ის იყო ქართული თეატრისათვის. ამიტომ საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა იმათ ღვაწლს, ვინც მარჯანიშვილის თეატრალურ ტრადიციებს გააგრძელებდა. ამგვარი როლი შეასრულა ვ. ყუმიტაშვილმაც. 1934 წლიდან მან მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო მუშაობა.

ფიკარეაი ილიას გმირაზა...

უცხოეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ვ. ყუმიტაშვილი ხშირად იფიქრებდა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებს. მშობლიური ლიტერატურის გმირების გასხვება — მიიზარა მან — ისეთ განცდას მგვირბდა, რომ ასე მეგონა თითქოს პირადად ვხვდებოდი მას. სიტუაციები ჩარჩენილი მშობლიური პეიზაჟების ფერები. არასოდეს არ სტოვებდნენ მის მესხიერებას. არასოდეს არ ჰქრებოდა მის სულიერ სამყაროდან ის, რაც მან საქართულოში ნახა, განიცადა, რაც წაიკითხა მშობლიური ლიტერატურიდან. ეს იყო ის დიდი შინაგანი „ეროვნული მარაგი“, რომელიც მუდამ ცოცხლობდა ხელოვანში, მუდამ ესწრაფებოდა თავის მშობლიურ ნიადაგს. ამიტომ დიდი იყო ყუმიტაშვილის სურვილი — დაეღა ქართული ნაწარმოები. არჩევანი ილია ჭავჭავაძეზე შეერგა. ილიას ნაწარმოებთა ინსცენირება, მათ დრამატულ ფორმაში ჩამოქნა ვ. დადიანმა ითავა. „ელახის ნაამბობი“, „აკაო ყანაღი“ და „კაცია ადამიანი?“ აგრეთვე ნაწყვეტები „კოთარაანთ ქვირილიდან“. ასეთი იყო „მასალა“ ინსცენირებისათვის. იმათავთვე დასაშვები იყო, რომ ინსცენირებაში ბევრი რამ ფრაგმენტული იქნებოდა. სხვა სირთულეც ელოდა რეჟისორს, მაგრამ მას ხომ უკვე ჰქონდა დიდი გამოცდილება.

1935 წ. 23 ოქტომბერს შესდგა „ჩატეხილი ხილის“ პრემიერა. სცენაზე ამტყვევლდნენ ილიას გმირები, რამის იქით გაცოცხლდნენ ილიასული სიამართლის, ძაღლის და ენების ადა-მანიები. სცენაზე გადაიმალა ფართო ეპიკური ტილო ღრმა სოციალური პრობლემებისა. მაყურებელმა სიხარულით მიიღო რეჟისორის მიერ შეთავაზებული ფორმა და მთელი ის შინაგანი მზატვრული ცხოვრება, რომლითაც ცოცხლობდა და სუნთქებდა სპექტაკლი. სპექტაკლის მიზანი ასე განმარტა რეჟისორმა: „მოწყადინებული ვიყავი შემექმნა ილიასებური მდიდარი ფეროვნების სპექტაკლი, რეალისტურად გაცოცხლებული და მიონუტუალურად ხორცშესხული“. წარმოდგენაში გამოჩნდნენ ძლიერი აქტიური სახეები. მათი სისლასვეც, ენერგიული და გულმართალი მსახიობები მაყურებლის მესხიერებაში ცოცხლად აღადგენდა ილიას გმირთა სახეებს. და ეს ადვილი როდი იყო. სცენური სახისაგან მიღებული შთაბეჭდილება იმითადად არის ადვიტადური პროზაში დახატული

გმირისაგან მიღებული შთაბეჭდილებისა და ამიტომ მისივე დიდი იყო მსახიობთა ამოცანა და წარტყვების სისარუნელიც. ეს ლამაზივე ამბობდა „არასოდეს ამდენად დიდი პასუხისმგებლობა არ მიგრძენია, როგორც არჩილის განსახიერებისა. მთელი ჩემი აქტიურიული ძალა, მთელი ოსტატობა, არჩილის სახის განსახიერებას მოვანდომე“.

„ჩატეხილი ხილი“ ნამდვილი საბჭოთა სპექტაკლი იყო თავისი იდეური სიმახვილით, სოციალური სიმძაფრით. აქ შექმნა ბრწყინვალე სახე ვ. გოძიაშვილის ლუარსაბისა, ლუარსაბი გოძიაშვილის შესრულებით, უფრო სრულყოფილი, ახალი დეტალებით, ნიუანსებით გაზდიდრებული წარსდგა მაყურებლის წინ 1946 წელს, როცა ყუმიტაშვილმა „კაცია-ადამიანი?“ დადგა.

გოძიაშვილი — ლუარსაბი დიდი რეალისტური სახეა. რეჟისორმა და მსახიობმა ბრწყინვალე გროტესკული ფორმით გახსნეს ლუარსაბის ბუნება. გაზოგადების ძალა, ფორმის სისადავე, სიმახვილე, ეპოქალური სიღრმე იგრძნობოდა მთელ სპექტაკლიც და მის მთავარ გმირშიაც. როცა გოძიაშვილის ლუარსაბის სახეს ვიგონებთ გვაგონდება ს. ასმეტელის სიტყვები ილიას ამ ნაწარმოებზე. „ეს ნაწარმოები უნდა დაიდგას დიდი მასშტაბით, ამ პიესით უნდა გამოიფინოს მთელი იმგამინდელი ეპოქა... ლუარსაბი მარტო კახელი თავადი არ არის, ის მთელი საქართველოს თავდაზნაურობის სიმბოლოა...“ „ლუარსაბი პრიმიტივია და ეს უნდა ვგახსოვდეს მუდამ. იგი „პრიმიტიული სიმართლეა“ დიდსა და ღრმა ცხოვრებაში. მან მოგვცა საუკეთესო მაგალითი „დიდებული პრიმიტივიზმის“...

საუბრობს მთაქვია, რომ ასმეტელისა და ყუმიტაშვილის აზრი ლუარსაბის სახის გაგებაში ძალიან ემთხვევა ერთმანეთს. ლუარსაბის სახის მოხუმრებელი ფორმაში გააზრება, რომელსაც ვგთავაზებთ ყუმიტაშვილი და გოძიაშვილი, ძალიან ახლოს დგას ასმეტელის გმირული თავბრუს იდეალთან...

მაგრამ ყუმიტაშვილი მაინც სულ სხვა ასპექტით უყურებს სცენაზე საგანს, მოვლენას და ისეთი სხვაგვარი თეატრალური სტილის რეჟისორია.

ყუმიტაშვილი დეკორატივი იყო. მან მრავალი სპექტაკლი გაფორმა მზატვრულიც. ამიტომ მისთვის უფრო იოლი იყო ლამაზი კომპოზიციების, თვალისმომზატრი ფორმების მონახვა. მაგრამ არასოდეს უყვარდა „ეფექტური მიზანსცენები“, რეჟისორული ტრიუკები, მზატვრულ ეფექტს იგი აღწევდა სახის შინაგანი მდგომარეობისათვის ზუსტად და სადა სცენური ფორმის მოძებნით. მან კარგად იცოდა ის ჭეშმარიტება, რომ სცენაზე მსახიობის სახით ცხოვრობს ადამიანი თავისი ინდივიდუალური ვივისებებით. მხოლოდ მისი ბუნებრივი მდგომარეობის ეფექტზე ზუსტი, ყველაზე დამახასიათებელი მომენტის პოვნა აუცილებელი. დანარჩენი კი თავისთავად მოვა.

რეჟისორისთვის ბედნიერი აღმოჩნდა ილიას გმირებთან შესხედრა, მეტად გაუცხოვლდა მას ქართულ პიესებზე მუშაობის სურვილი. მაგრამ მარტო ეს როდი იყო მნიშვნელოვანი. უცხოეთ პიესებზეც ხომ იქმნება ქართული სპექტაკლები. ამ ჩანს თუ რაოდენ ძლიერია რეჟისორისა და მსახიობის



ერთნელად სული ქართულ პიესებზე მუშაობამ ბევრი რამ აწავალა ყუმბიტაშვილს. ასწავლა უცხოური პიესების ქართულად აქტუალურობის საიდუმლოებაც...

თანამედროვეობის მხარდამხარი

რეჩის ლამაზად ამბობდა: „ხელოვნებამ უნდა იცოცხლოს და ასახოს ცხოვრება. ჩვენ არ შეგვიძლია განუდგეთ მას თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს გარშემო ცხოვრებაა. და თუ ცხოვრებას მოწყვდებოდა, დაგმარცხდებოდა როგორც მიიჭირი ანთულისი. ჩვენ მუდამ უნდა ვეხებოდეთ მიწას. ამის გარეშე მდარია ჭკვიანური თქმაც „სიცოცხლე მოკლეა და ხელოვნება გრძელი“. როცა ამ მტკივნეულს ვკითხულობთ, გვაგონდება ყუმბიტაშვილის აზრები თეატრის თანამედროვეობაზე, მის ცოცხალ ვაჟობაზე ცხოვრებათან.

თანამედროვეობის გარეშე არ არსებობს დიდი ხელოვნება: თანამედროვეობით სურთქავდნენ დიდებული ძეგლები მსოფლიო კულტურისა.

თანამედროვეობის ხილვა უფვარს მასწავლებელს სცენაზე. „თეატრი ცხოვრების სარკეა“, რა თქმა უნდა, სინამდვილეში მართალი სურათები უნდა ჩანდნენ „ამ სარკეში“. ყუმბიტაშვილი ხომ პირდაპირ გამორჩეულა სინამდვილისადმი ერთგულებით. იგი სიმართლეს ეძებდა მსახიობის შესრულებაში, სიმართლეს ეძებდა სარეჟისორის მუშაობის პირველსავე დღიდან.

არც ერთი ყალბი ნიუანსი, არც ერთი არაბუნებრივი ინტონაცია. მას არ უყვარდა პათოსის თეატრი. ეს მისი რწმუნება, მისი მხატვრული სტილი იყო. ყუმბიტაშვილი ფიქრობდა, რომ მხატვრული სახის ძიების ყველაზე ფაქიზი მომენტი პირველი სარეჟისორი დღეებია. პირველი ინტონაციის მოძებნა, რატომს შეგრძნება, პლასტიკური გამოსახულების პოვნა — ყველაფერი ეს ერთბაშად როდის ხდება, მაგრამ სადღანდაც ხომ იწყება სათავე მართალი და ყალბი გერმობისა? რეჟისორის ვალაა სწორად მიაკვლიოს ეს საწყისი და გზა გაუხსნას სიმართლეს. პირობითობა და სინამდვილე ერთმანეთს უნდა შეერწყას, ერთმანეთს უნდა შეეზარდოს, რომ მერე პირობითობის საბაზით ყალბი თეატრალიბა არ წარმოიქმნას.

ყუმბიტაშვილისათვის მხატვრული სიმართლის ძიების მასწავლებლთან კონტაქტის დამყარების უპირველესი საშუალება იყო. ამდენად რეჟისორს ძალიან ფართოდ წარმოიდგინა თანამედროვეობის ცნება. მისთვის ეს მარტო აქტუალური თემა როდი იყო!...

ამიტომ წერდნენ: ყუმბიტაშვილმა „ილიას ნაწარმოებებიდან საბჭოთა სპექტაკლი შექმნა“.

თანამედროვეობის მიღწევარე პრობლემებს ეხებოდა ვ. გაბესკირას — „მათი ამბავი“, კ. სიმონოვის — „მელოდე“, გ. მიდინის — „პარტიზანები“, გ. შატბერაშვილის — „ფიქრის გორა“, მ. მრეველიშვილის „ზვავი“ და მრავალი სხვა პიესა, რომელიც დიდი გატაცებით, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით დადგა ყუმბიტაშვილმა. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს მ. მრეველიშვილის — „ზვავს“.

ეს არის ღრმა კონფლიქტების, მძაფრი, ურთიერთშეპირისპირებული ხასიათების, ძლიერი ნებისყოფისა და ენების ადამიანთა ამსახველი სპექტაკლი. ს. ზაქარაიძის თინიზები

აქ წარმოსდგა, როგორც ძალისმიერი ბორბტი სახე, რომელიც მსხვერპლად ეწირება მის მიერ წარმოქმნილ კონფლიქტებს.

„ზვავი“ გამორჩეულა ფორმის სიმკვეთრით, მსახიობთა პლასტიკური თამაშით, გერმობათა სიმართლით, ყუმბიტაშვილის სპექტაკლი ფართო პლანის წარმოდგენა იყო. მასშტაბებშია, რომელიც არასოდეს თვითონხან არ ჭქირია, საცენებით ბუნებრივი აღმოჩნდა ყუმბიტაშვილის რეჟისორული მანერისათვის. ბუნებრივი, ვამბობთ იმიტომ, რომ ყუმბიტაშვილი ძალიან ფრთხილად ვკიდებოდა სპექტაკლის მასშტაბურობის პრობლემას.

„მსახიობთა თამაშის წინ წამოწვევა“ ყუმბიტაშვილის მთავარი რეჟისორული ღირსებაა. სიმართლე და ადამიანურთა ედო საფუძვლად მის მიერ მსახიობისთვის შთავაზუნებულ ყოველ მიზანსავე, ყოველ დეტალს. ასეთი იყო მისი „ფიქრის გორაც“ და „მელოდეც“. ასეთი იყო კლასიკური პიესების დადგენები. ყუმბიტაშვილის ყველა სპექტაკლის გამართობა-ნებელი მინაგანი ძალა სწორედ სიმართლის გერმობა იყო. როცა „ფიქრის გორა“ დაიგდა მარჯანიშვილის თეატრში, სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო. ხალხმა ერთბაშად იგრძობა გამარჯვების სისარულიცა და დანაგარვის სიმწვავეც. ათათასობით შინმოსულები ბედი აღეღვნება ყველას. ვ. ყუმბიტაშვილიმა გულთან მიიტანა ეს თემა და შექმნა მართალი, ამაღლებული სპექტაკლი. „რეჟისორმა ვ. ყუმბიტაშვილმა — წერდა გაზეთი — თავისი ყურადღება სწორედ პიესაში დასახული მძაფრი ფსიქოლოგიური კლიმატის განსაზღვრებაზე გაამახვილა და სპექტაკლის მიეღი სიმძიმე სამართლიანად გადაიტანა მთავარი პერსონაჟების სულიერი ცხოვრების გამომხატველ სცენებზე. („ლიტერატურა და ხელოვნება“ 1945 წ.).

ყუმბიტაშვილი ქართული მწერლობის დიდი მკვებობა იყო. მან იცოდა ორივესავე პიესის ფასი სცენაზე. ამიტომ ცდილობდა მხარი დაეჭირა ქართული დრამატურგიისათვის. სიყვარულით, მისთვის ჩვეული პრფესიული კეთილხინისიერებით დგამდა ვ. პატარაის „ურა უნარდობა“ და გ. ქალბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებლებს“, ი. მოსახველის „ჩაძირული ქვეზა“ და გ. მიდინის „პარტიზანებს“. მან ჩინებულად იცოდა, რომ „თეატრის რეპერტუარი მისი მსოფლმხვედლობის პირველი გამოხატულებაა“, ამიტომ ესწრაფოდა თანამედროვეობის ამსახველ პიესებს, ამიტომ იყო იგი ჭეშმარიტად თანამედროვე რეჟისორი!

კლასიკა და სხვა

ერთხელ სტენდალს უთქვამს: „მე არასოდეს მხატვარი მოაზროვნისაგან არ გამომიყვია, მე არ შემიძლია მხატვრული ფორმა მხატვრულ აზრს გამოვთქო“. დიდი მწერლის ეს სიტყვები თანაბრად შეეხება ვ. ყუმბიტაშვილსაც. იგი ნათელი აზრის მხატვარი იყო. მას დრო არ დაუნარკავს ფორმალისტურ ძიებებში.

თანამედროვე მხატვრის თვალთ უყურებდა იგი უცხოურ კლასიკასაც. ასე დადგა მოლიერის „ეკვით ავადმყოფი“ და ჰიუგოს „რეუ ბლანსი“, ბოშონეს „ფიგაროს ქორწინება“, პუშკინის „მოცარტი და სალიერი“, შექსპირის „რიჩარდ მე-



სამე", შილერის „მარიამ სტიუარტი“. და ბ. შოუს „იულიუს კეისარი და კლოპატრა“.

ეს არის მრავალფეროვანი რეპერტუარი — იგი სასვეა ადამიანური ხასიათების სიმდიდრით, სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების სიმწვავეთ, ფსიქოლოგიური სიღრმით, სატირული გონებამახვილობით. ვის არ შეუვლებია აქ, რა წოდებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს არ გაეცნობით. ამ მრავალფეროვნებაში მეგობრობს მოსწავნის თითოეული მწერლის ინდივიდუალური ხასიათი, წერის მანერა.

ყუმიტაშვილმა გააერთიანა ისინი ერთ რეჟისორულ ხელწერაში და ამასთანავე ყოველ მათგანს შეუნარჩუნა თავისი გამორჩეული თვისება. ეს არის რეჟისორის გამარჯვება. გაიხსენეთ „ფიგაროს ქორწინება“ და „რიჩარდ მესამე“, მარჯანიშვილის თეატრში. ეს პიესები ჟანრულად სულ სხვადასხვა ხასიათისაა, მაგრამ საექტაკლები დაბეჭდილობით იყვნენ ბევრი მთელ სცენას, გადადიდა პარტურში, ეუფლებოდა მთელს აუდიტორიას და ქმნიდა ხალისიან განწყობილებას.

„რეჟისორმა ყუმიტაშვილმა დაგვარწმუნა, რომ იგი დიდი კულტურის რეჟისორია და საკმაო უნარი აქვს მსახიობებთან მუშაობისა. მან შესძლო სწორად გაეოცა და გადმოეცა იმ ეპოქის კოლორიტი, ხოლო მსახიობებთან მუშაობით კი ადვილდინა კოქე მარჯანიშვილის საუკეთესო ტრადიციები, აქტიორული თამაშის უზრაველობა და ბუნებრიობა („საბჭოთა ხელოვნება“ 1937 წ. № 6).

დაიხ, ყუმიტაშვილმა განაგრძო მარჯანიშვილის ტრადიცია. მარჯანიშვილმა ხომ საოცრად იცოდა მსახიობთან მუშაობა, მისი გაუხსნელი, მანამდე მიუკვლეველი შინაგანი სამყაროს მთელი საიდუმლოების შეცნობა და მზიური ამტყვევებლობა.

ვ. გომიძეშვილის ფიგარო და ვ. ანჯაფარიძის გრაფინია, ს. თაყაიშვილის სიუზენი და ა. კვანტალიანის ქერუბინო. ეს იყო აქტიორული ოსტატობის ზეიმი, მსახიობურ შესაძლებლობათა ახლებური ამტყვევებლობა...

ყუმიტაშვილისათვის ახლობელი გამოდგა რომანტიკული ხასიათის პიესებიც. ალბათ იმიტომ, რომ რომანტიკაში, ბელინსკის სიტყვით რომ ვთქვათ, „ადამიანის სულის შინაგანი სამყარო, მისი გულის მართილგარე ცხოვრება“. ყუმიტაშვილის მთელი რეჟისორული ცხოვრების მიზანიც ხომ „ადამიანის სულის შინაგანი სამყაროს“, მისი მართილგარე გულის გამოსატყვევო იყო. ამიტომ მას შემთხვევით არ დაუდგამს ვ. პიუგოს „რუე ბლანო“. საექტაკლე მიჩნეული იქნა, როგორც „მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული საბჭოთა თეატრის ცხოვრებაში“.

1955 წელს ყუმიტაშვილმა შილერის „მარიამ სტიუარტი“ დადგა მარჯანიშვილის თეატრში.

„მარიამ სტიუარტი“ საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს დაიდგა. შემდგომაც ნახა იგი ქართველმა აუდიტორიამ, მაგრამ ყველაზე საინტერესო და სრულფასოვანი დადგმა მხოლოდ ვ. ყუმიტაშვილმა შესძლო. (მარიამი — ანჯაფარიძე, ელისაბედი — თაყაიშვილი). მათ მართლაც და დიდი სცენური მომსახიობელობით გადაგვიმოლეს დრამა დრამატული ისტორია. სცენიდან ახაყა გაისმა ანჯაფარიძის მარიამის სიტყვები: „კვლევ იმასაც, რომ ეს თქვენი შედა პალატაც ქვედას თანაბრად მეტრობა და უსირცხვილო“.

შილერი წერდა: „ჯერჯერობით მე ვცნობი დედოფალ ელისაბედის მეფობის ისტორიას და შეუვლემი მარიამ სტიუარტის პროცესის შესწავლას... ფიქტობ, რომ ეს სიუჟეტი განსაკუთრებით გამოსადეგია ევროპიდესული მეთოდისათვის, რომელიც სულიერი მდგომარეობის სრულ გამოსატყვევში მდგომარეობს, რადგან მე გმონა შეიძლება მთელ სასამართლო პროცესს და პოლიტიკას გვერდი აუარო და ტრადიციულ სპარაღებულთა განაწინებით დაგიწყოს“.

სწორედ ეს ევროპიდესული მეთოდის ნერვი იგრძნო ყუმიტაშვილმა და იგი დამაჯერებლად გამოხატა კიდევ თავის საექტაკლეში.

დიდი პოლემიკა გამოიწვია ყუმიტაშვილის საექტაკლემა „რიჩარდ მესამე“

და ეს იყო ბუნებრივი პოლემიკა. იგი აღძრა საექტაკლის გაბედულმა რეჟისორულმა გადაწყვეტებამ.

„რიჩარდ მესამე“ მკაცრი, რეალისტური საექტაკლე იყო (მშვენიერად გააფორმა ე. სუბმათაშვილმა). ჩვენს წინ გადაიწია რენესანსული ეპოქის ცოცხალი სურათები. სცენაზე გამოჩნდნენ ვენეზიანი, სისლსასვე გმირები (ასეთი იყო ვ. გომიძეშვილის რინაღლიდო...) შექმნირისა, ფორმის სისადავე და გრძობობათა შინაგანი სიმძაფრე, ხასიათების მთლიანობა და ემოციური სისასვე იქცა საექტაკლის ნიშანდობლივ თვისებად.

მარჯამ საექტაკლე მარტო ამით როდი იქცევა ყურადღებას. იყო სხვა სიკეთეც და სადღო მომენტებიც, და ეს ყველაფერი ხდიდა მას საინტერესოს...

ყუმიტაშვილი თბილი, ადამიანური განწყობის რეჟისორი იყო.

მან სიჭაბუკეში ბევრი იმოგზაურა და თითქოს ჩვევად ექცა საქართველოს სხვადასხვა თეატრებში „მოგზაურობაც“, მაგრამ სულ სხვა იყო მიზანი ამგვარი „მოგზაურობისა“.

იგი დადიოდა ქალაქიდან ქალაქში. მიდიოდა ყველგან, სადაც ქართული თეატრი მოუხმობდა.

ფართო იყო მისი ასპარეზი. დიდი კულტურისა და ერუდიციის რეჟისორს ყველგან მიჰქონდა თავისი წრფელი გული და მართალი ხელოვნება.

ყუმიტაშვილის საექტაკლებში იქმნებოდა ახალი სახეები, ინადებოდნენ ახალი აქტიორული ძალები, იზრდებოდა საექტაკლის კულტურა, იხვეწებოდა მსახიობთა გემოვნება, ჩნდებოდა ახალი შემოქმედებითი იმპულსები, იყო სიხარული, იყო შთავიგება...

ეს იყო პატიოსანი ხელოვანის გზა!



ვ. ჭავჭავაძე



ქართული
დემოკრატიული
პარტია

კარტისტის ცხოვრება

